თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების 2020 წლის კონსოლიდირებული (ნაერთი) ბუღალტრული ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები

ძირითადი საქმიანობის აღწერა

საქართველოს მოქალაქენი ადგილობრივ თვითმმართველობას ახორციელებენ საქართველოს კონსტიტუციის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის", საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, ორგანული კანონი - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად. საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ, ამ კანონითა და საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი წესით აირჩიონ მუნიციპალიტეტის ორგანოები, ეს ორაგნოებია წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი. მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების სახეებია: საკუთარი უფლებამოსილება და დელეგირებული უფლებამოსილება.

მუნიციპალიტეტებს უფლება აქვთ, თავიანთი საქმიანობის კოორდინაციის და ერთობლივი ღონისძიებების განხორციელების მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დააფუძნონ საჯარო სამართლის იურიდიული პირები, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები და სხვა კერძო სამართლის იურიდიული პირები.

მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით გადაწყვიტოს ნებისმიერი საკითხი, რომლის გადაწყვეტაც საქართველოს კანონმდებლობით არ არის ხელისუფლების სხვა ორგანოს უფლებამოსილება და აკრძალული არ არის კანონით.

მარეგულირებელი ნორმატიული აქტები

მუნიციპალიტეტის საქმიანობას მათ შორის ბუღლატრული აღრიცხვის მიმართულებით არეგულირებს შემდეგი ნორმატიული აქტები:

- ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი
- საბიუჯეტო კოდექსი
- „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 5 აპრილის N1321 ბრძანება.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით

დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ" ინსტრუქცია;

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364

ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ " ინსტრუქცია;

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №424 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ" ინსტრუქცია

- "საბიუჯეტო ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ" ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის N439 ბრძანება.

კონტროლირებული ერთეულების ჩამონათვალი

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კონსოლიდირებული (ნაერთი) ბუღალტრული ანგარიშგება მოიცავს შემდეგ საბიუჯეტო დაწესებულებების ფინანსურ ანგარიშგებებს:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტი.
2. ა(ა)იპ ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური "
3. ა(ა)იპ ,,თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი"
4. ა(ა) იპ ,,თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის სოციალური დაცვის, მოქალაქეობრივი და ესთეტიკური აღზრდის მუნიციპალური ცენტრი"
5. ა(ა)იპ ,,თერჯოლის სპორტული სკოლა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრი"
6. ა(ა)იპ ,,თერჯოლის სახელოვნებო განათლების კულტურისა და ტურიზმის მუნიციპალური ცენტრი"
7. ა(ა)იპ ,,თერჯოლის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მუნიციპალური ცენტრი"

ზოგადი განმარტება

თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების 2020 წლის კონსოლიდირებული (ნაერთი) ბუღალტრული ანგარიშგება მომზადებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ" ინსტრუქციისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის აპრილის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ" ინსტრუქციის შესაბამისად.

კონსოლიდაციას ექვემდებარება თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი საბიუჯეტო დაწესებულებების ბუღალტრული ანგარიშგებები.

ბუღალტრულ აღრიცხვაში გამოყენებული შიდა აღრიცხვის წესები

ბუღალტრული აღრიცხვის შიდა სააღრიცხვო პოლიტიკა მუნიციპალიტეტში შემუშავებული არ არის, ამდენად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების 2020 წლის კონსოლიდირებული (ნაერთი) ბუღალტრული ანგარიშგება მომზადებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ" ინსტრუქციისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის აპრილის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ" ინსტრუქციის შესაბამისად.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2020 წლის კონსოლიდირებული (ნაერთი) ბუღალტრული ანგარიშგება მომზადებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი საბიუჯეტო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი წლიური ფინანსური ანგარიშგებების მიხედვით.

ბუღალტრული ანგარიშგება მომზადებულია საკასო მეთოდით. ასევე, განსაზღვრულ შემთხვევებში გამოყენებულია დარიცხვის მეთოდი.

ბუღალტრულ ანგარიშგებაში ასახულია ინფორმაცია საბიუჯეტო დაწესებულებების ფინანსურ მდგომარეობაზე, მათი საქმიანობის ფინანსურ შედეგებზე, კაპიტალის ცვლილებაზე და ფულადი სახსრების ნაკადებზე საანგარიშო პერიოდში.

ნაერთი ბუღალტრული ანგარიშგების სრული პაკეტი მოიცავს:

ა) ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებას (ბალანსს) - ფორმა #1;

ბ) ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ - ფორმა#3;

გ) ანგარიში არასაბიუჯეტო საქმიანობით მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ - ფორმა#4;

დ) ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ - ფორმა #5;

ე) ანგარიში არასოპერაციო შემოსავლებისა და არასაოპერაციო ხარჯების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ - ფორმა #5,1;

საანგარიშგებო ვალუტა

კონსოლიდირებული (ნაერთი) ბუღალტრული ანგარიშგება მომზადებულია ეროვნულ ვალუტაში - ლარში, რომელიც წარმოადგენს საანგარიშგებო ვალუტას

რესურსების განაწილება და გამოყენება

ორგანიზაციების დაფინანსების წყაროებია: მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი (მათ შორის: მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ასახული მესამე პირის გადახდები) და არასაბიუჯეტო საქმიანობით მიღებული შემოსავლები. საბიუჯეტო დაწესებულებების მიერ ხარჯები გაწეულ იქნა სამართლებრივი და სახელშეკრულებო მოთხოვნების შესაბამისად, ასევე, მოქმედი კანონმდებლობით დაწესებული შეზღუდვების გათვალისწინებით - როგორც ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების და გეგმის, ასევე, ვალდებულებების მოცულობის ფარგლებში.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის აქტივები ძირითადად შეფასებულია თვითღირებულებით.

აქტივები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები მოიცავს ხაზინის ერთიან ანგარიშზე არსებულ ფულს (ხაზინის მონაცემების შესაბამისად). ასევე, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე (ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად).

საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული მეთოდოლოგია შემოსავლების აღრიცხვას ითვალისწინებს დაფინანსების აღრიცხვით და არ არის გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები. აღნიშნულიდან გამომდინარე ვინაიდან მუნიციპალიტეტი წარმოადგენს საბიუჯეტო ორგანიზაციას იგი აღრიცხავს ბიუჯეტის კუთვნილ თანხებს როგორც ფინანსური აქტივებს დეპოზიტების სახით, ხაზინის და კომერციული ბანკების ანგარიშზე და ამავდროულად ვალდებულებებს ბიუჯეტის წინაშე დეპოზიტების სახით.

ანგარიში დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში (1260) წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ნაშთს ხაზინაში, მიმდინარე ანგარიში არასაბიუჯეტო სახსრებისთვის ხაზინაში (1230) არსებული ნაშთი წარმოადგენს ა(ა)იპ-ების მიერ არასაბიუჯეტო შემოსავლის შედეგად მიღებულ თანხებს.

ფინანსური აქტივები და მოთხოვნები

მოთხოვნები - ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები ავანსად გაცემული თანხებით (1451). აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ზოგ შემთხვევაში საბიუჯეტო ორგანიზაციის ბუღალტერიაში შემოსულია ავანსის დამოწმების პირველადი დოკუმენტი, რის საფუძველზეც ბუღალტრულად განხორციელდა ავანსის შემცირება, ხოლო ხაზინის სიტემაში რადგან ავანსის დამოწმების ვადა არ იყო გასული ავანსის დახურვა არ განხორციელებულა. ამდენად არსებული ნაშთები არ შეესაბამება ხაზინის ელექტრონულ ბაზაში განთავსებულ წინასწარი (საავანსო) გადახდების მონაცემებს და მომავალი წლის პერიოდში ამ კუთხით მიზანშეწონილია განხორციელდეს საბიუჯეტო ორგანიზაციების მონიტორინგი.

ძირითადი აქტივები

ძირითადი აქტივები ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში ასახულია ნარჩენი (ცვეთის დარიცხვით) ღირებულებით.

ძირითად აქტივებს ცვეთა ერიცხებათ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის ბრძანებით N439 „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრული აღრიცხვის ასახვის შესახებ“ დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად. წლიური ცვეთის ნორმები ძირითადი აქტივების თითოეული კატეგორიისთვის მერყეობს 1%-დან 20%-მდე. ცვეთის თანხის აკუმულირება არ ხდება და დარიცხული ცვეთა ტარდება ხარჯებში, როგორც ძირითადი კაპიტალის მოხმარება ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისად.

ძირითადი აქტივების მოვლა-შენახვასა და რემონტის დანახარჯები, რომლითაც არ იზრდება ძირითადი აქტივების ღირებულება, განხილულია ხარჯებად, ხოლო არსებული აქტივების არსებითი გაუმჯობესება – განახლება, რეკონსტრუქცია ან გაფართოება, რაც მნიშვნელოვნად ზრდის საწარმოო სიმძლავრეს, ხარისხს ან ახანგრძლივებს არსებული ძირითადი აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადას, განიხილება როგორც ძირითადი აქტივების მიღება.

არასაცხოვრებელი შენობების ანგარიშზე (2112) ასახული მუნიციპალიტეტის საკუთრებაში მყოფი შენობები, ესენია ძირითადად ადმინისტრაციული შენობები, საბავშვო ბაღები, კულტურის სახელები, ბიბლიოთეკები, მუზეუმები, სამუსიკო, სამხატვრო და სპორტული სკოლები და სხვა.

სხვა შენობა ნაგებობები მოიცავს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შემდეგი სახის აქტივებს : გზებს , ქუჩებს, ხიდებს , გაყვანილობებს (წყლის სიტემა, კანალიზაცია და ა.შ,), სხვა ნაგებობებს (2119).

მანქანა დანადგარები და ინვენტარი მოიცავს სატრანსპორტო საშუალებებს (2121) და

სხვა მანქანადანადაგრებს და ინვენტარს (2122).

დაუმთავრებელი ძირითადი აქტივები აღრიცხულია (2141) ანგარიშზე, რომელიც წარმოადგენს ძირითადად მრავალწლიან შესყიდვას.

არაწარმოებული აქტივების ანგარიშზე (2410) ასახულია მუნიციპალიტეტის კუთვნილი სასოფლო და არასასოფლო დანიშნულების მიწები.

მატერიალური მარაგები და გრძელვადიანი მცირე ფასიანი აქტივები

მატერიალური მარაგები ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშში (1627) წარმოდგენილია ღირებულებით, რომელიც მოიცავს მათ შეძენასტან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს. მატერიალურ მარაგებში ასახულია საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრული სტრატეგიული მარაგები, ნედლეული და მასალები, ასევე მცირეფასიანი აქტივები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ძირითადი აქტივების აღიარების კრიტერიუმს: ღირებულება ნაკლებია 500 ლარზე და ერთ წელზე მეტი გამოყენების ვადით.

ვალდებულებები

ვალდებულებები, რომლებიც ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაშია წარმოდგენილი ძირითადად შეესაბამება საბიუჯეტო კლასიფიკაციას და დაყოფილია მოკლევადიან და გრძელვადიან ფინანსურ ვალდებულებებად.

ვალდებულებების დაფარვა ხდება ფინანსური აქტივების და ვალდებულებების კლასიფიკაციის მუხლით სესხების კატეგორიიდან, ხოლო პროცენტის გადახდა ხარჯების კლასიფიკაციის შესაბამისი მუხლით.

ვალდებულებები დეპოზიტებით ანგარიში (3110) მოიცავს, როგორც ზევით აღინიშნა, მუნიციპალიტეტის ანგარიშეზე არსებული ნაშთის შესაბამის ვალდებულებას ბიუჯეტის წინაშე დეპოზიტების სახით.

ფინანსური ვალდებულებები წარმოდგენილია გრძელვადიანი (3311) და მოკლევადიანი (3131) სესხის სახით. აღნიშნული მოიცავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მიერ სსიპ მინიციპაალური განვითარების ფონდიდან აღებულ გრძელვადიან სესხს, საიდანაც გამოყოფილია მომდევნო 12 თვის განმავლობაში გადასახდელი დავალიანება და იგი ასახული)მოკლევადიანი ვალდებულებები საბიუჯეტო სესხების ანგარიშზე.

ფინანსური ვალდებულებები შტატით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები წარმოდგენილია (3251) ანგარიშზე.

არაფინანსური აქტივების მოწოდებით დარიცხული გრძელვდიანი კრედიტორული დავალიანებები ასახულია (3332) ანგარიშზე. რომელიც წარმოადგენს შესრულებული სამუშაოების საგარანტიო თანხებს(2,5%).

კაპიტალი

წმინდა ღირებულება

წმინდა ღირებულება წარმოადგენს დამაბალანსებელ მუხლს, რომელიც გაანგარიშებულია საბიუჯეტო სახსრებით განხორციელებულ ხარჯებსა და შემოსავლებს (მ.შ. ბიუჯეტიდან მიღებულ დაფინანსებას) შორის სხვაობა, კორექტირებულია ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებით, აქტივების და ვალდებულებების ოპერაციების გარეშე წმინდა ცვლილებით (არასაოპერაციო შემოსავლები/ხარჯები).

<u>გაუნაწილებელი მოგება</u>

გაუნაწილებელი მოგების თანხების გაანგარიშებაში მონაწილეობს არასაბიუჯეტო საქმიანობის უფლების მქონე ა(ა)იპ-ების მიერ არასაბიუჯეტო საქმიანობის შედეგად გასულ წლებში მიღებული მოგების გაუნაწილებელი თანხები, აგრეთვე საანგარიშო წლის მოგების თანხა, რომელიც დარჩა გაუნაწილებელი.

საცნობარო მუხლი

საცნობარო მუხლში ,,ამორტიზებული ძირითადი აქტივები" (08) – აღირიცხება სრულად გაცვეთილი (ამორტიზებული) ძირითადი აქტივები, საწყისი (ისტორიული) ღირებულებების მითითებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ჩამოწერამდე.

საცნობარო მუხლში „ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები" (10) – აღირიცხება ექსპლუატაციაში გადაცემული, ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები.

ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ

ანგარიშში წმინდა ღირებულების შესახებ თავს იყრის ისეთი ინფორმაცია, რომელიც გავლენას ახდენს წმინდა ღირებულების მოცულობაზე, მათ შორის, დებეტის მხარეს ნაშთი წლის დასაწყისისათვის, ხარჯები, არასაოპერაციო ხარჯები, ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები, აგრეთვე კრედიტის მხარეს ნაშთი წლის დასაწყისისათვის, მუნიციპალიტეტისთვის და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ებისთვის მუნიციპლიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნება, სასაქონლო ფორმით მიღებული გრანტები, სხვა შემოსავლები და არასაოპერაციო შემოსავლები. საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური შედეგი, აქტივების და ვალდებულებების რაოდენობრივი ცვლილებები, გადაფასების შედეგად მიღებული ნამეტი და სხვა. დეტალური სურათი ასეთია:

ხარჯები

ხარჯების სტრუქტურა წარმოდგენილია როგორც საოპერაციო (მიმდინარე) ხარჯები და კლასიფიცირებულია საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად. არასაბიუჯეტო საქმიანობის ნაწილში, ხარჯების მუხლებად წარმოდგენილია შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებული პერიოდის დანახარჯები. საბიუჯეტო სახსრებით წარმოდგენილი ხარჯები არ არის დაკავშირებული შემოსავლების მიღებასთან. ის დაკავშირებულია საანგარიშგებო პერიოდში მიღებულ დაფინანსებასთან და პერიოდის დასაწყისისთვის მოთხოვნების სახით რიცხულ წინა წლებში მიღებულ დაფინანსებასთან.

ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ხარჯები იყოფა 8 ძირითად ჯგუფად, კერძოდ: შრომის ანაზღაურება, საქონელი და მომსახურება, ძირითადი კაპიტალის მოხმარება, პროცენტი, სუბსიდიები, გრანტები, სოციალური უზრუნველყოფა და სხვა ხარჯები.

შრომის ანაზღაურება მოიცავს ხელფასი ფულადი ფორმით და ხელფასი სასაქონლო ფორმით. ხელფასი ფულადი ფორმით მოიცავს თანამდებობრივი სარგო, წოდებრივი სარგო, პრემია, დანამატი, ჰონორარი, კომპენსაციას;

საქონელი და მომსახურება შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება, მივლინებები, ოფისის ხარჯები, წარმომადგენლობითი ხარჯები, კვების ხარჯები, სამედიცინო ხარჯები, რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები, ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები, სამხედრო ტექნიკისა და ტყვია-წამლის შეძენის ხარჯები, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება;

ძირითადი კაპიტალის მოხმარება - ძირითადი კაპიტალის მოხმარება წარმოადგენს საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ფიზიკური ცვეთის, მორალური ცვეთისა და ჩვეულებრივი შემთხვევითი დაზიანების შედეგად, სახელმწიფო ერთეულის მფლობელობაში არსებული და მის მიერ გამოყენებული ძირითადი აქტივების ღირებულების შემცირებას. იგი იანგარიშება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის ბრძანებით N439 „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრული აღრიცხვის ასახვის შესახებ" დამტკიცებული ინსტრუქციაზე;

პროცენტი მოიცავს პროცენტს რომელიც გადახდილია მ,გ,ფ იდან აღებუბულ სესხზე;

სუბსიდიები წარმოადგენს საწარმოებსა და ორგანიზაციებზე სახელმწიფო ერთეულის მიერ მიმდინარე მიზნებისათვის უსასყიდლოდ, დაუბრუნებლად გაცემულ ტრანსფერს.

გრანტები მოიცავს გრანტებს სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებზე.

სოციალური უზრუნველყოფა მოიცავს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებულის სოციალური დახმარების პროგრამების ფარგლებში დარიცხულ ხარჯებსა და დამქირავებლის მიერ დაქირავებულისათვის დარიცხულ დეკრეტული შევებულების განაცემს.

სხვა ხარჯები მოიცავს ქონებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, გარდა პროცენტისა და

ტრანსფერებს, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული. ეს უკანასკნელი კი თავის მხრივ იყოფა მიმდინარე ტრანსფერებად, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული და კაპიტალურ ტრანსფერებად.

კრედიტის მხარეს ნაშთი წლის დასაწყისისთვის აღრიცხულია წლის დასაწყისისათვის არსებული წმინდა ღირებულება, რომელიც შესაბამისობაშია ფორმა N1 -ში წარმოდეგნილ წმინდა ღირებულების ანგარიშთან (5100), ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება როგორც ზემოთ ავღნიშნეთ მოიცავს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში მიღებულ დაფინანსებას. გრანტები შეადგენს თერჯოლის მუნიციპალიტეტისათვის სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული ქონებას (სოფელ ღვანკითის წყალმომარაგების ქსელი).

არასაბიუჯეტო საქმიანობით მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიში

მოიცავს ა(ა)იპ-ების მიერ საკუთარი სახსრებით (არასაბიუჯეტო შემოსავლები) მიღებულ შემოსულობებს და გადასახდელებს. ანგარიში მოიცავს წლის დასაწყისისათვის და საანგარიშო პერიოდი ბოლოსთვის გაუნაწილებელ მოგებას.

არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ ანგარიში

მოიცავს არაფინანსური აქტივების საწყის და საბალოო მაჩვენებლებს, აგრეთვე მიღებისა (შესყიდვა მიმდინარე პერიოდის, არასაოპერციო შემოსავლები, გრანტები, სხვა შემოსავლებით) და გასვლის (გრანტებით, სხვა ხარჯებით, ძირითადი კაპიტალის მოხმარება და სხვა გასვლების) ოპერაციებს.

არაფინანსური აქტივებით ოპერაციების შესახებ

არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაცია წარმოადგენს სახელმწიფო ერთეულის მიერ არაფინანსური აქტივების შეძენის და გასვლის ოპერაციების და არაფინანსური აქტივების დაჯგუფებას სახეების მიხედვით. იგი იყოფა იყოფა 4 ძირითად ჯგუფად, კერძოდ: ძირითადი აქტივები; მატერიალური მარაგები; გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები; არაწარმოებული აქტივები.

არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ ანგარიშის მიღების მხარე ნაშთი წლის დასაწყისისთვის წარმოადგენს 2020 წლის 1 იანვრისთვის არსებულ ნაშთებს. შესყიდვა მიმდინარე პერიოდის სვეტში წარმოდგენილია 2020 წლის ბიუჯეტის სახსრებით შეძენილი აქტივები, მატერიალური მარაგების და გრელვადიანი მცირეფასიანი აქტივების

მიღება. გრანტების სვეტში წარმოდგენილია სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან გადმოცემული ძირითადი აქტივები (მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული ქონება); სხვა შემოსავლების სვეტში ასახულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის ააიპ მოსწავლე-ახალგაზრდობის სოციალური დაცვის, მოქალაქეობრივი და ესთეტიკური აღზრდის მუნიციპალური ცენტრის მიერ შეძენილი ძირითადი აქტივი (კომპიუტერი). შესყიდვა მიმდინარე პერიოდის სვეტში წარმოდგენილია ბიუჯეტის სახსრებით შეძენილი აქტივები 33283 ლარი(ინერტული მასალა) რომელის შეძენილია არაფინანსური აქტივების მუხლიდან არასწორად, ნაცვლად საქონელი და მომსახურების მუხლისა, რადგან აღნიშნული აქტივი არ აკმაყოფილებს ძირითადი საშუალების აღიარების კრიტერიუმებს, შესაბამისად მოხდა მისი გადმოტანა საქონელი და მომსახურების მუხლში.

არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ ანგარიშის გასავლების მხარეს გაყიდვით მუხლში ასახულია პრივატიზაციის შედეგად მიწის, სატრანსპორტო საშუალებისა და არასაცხოვრებელი შენობის გაყიდვა. ძირითადი კაპიტალის მოხმარება ასახულია ძირითადი საშუალებების 2020 წლის ცვეთის ხარჯი. საქონელი და მომსახურეობის მუხლში ასახულია სხვა მატერიალური მარაგების და გრელვადიანი მცირეფასიანი აქტივების გასვლა. სხვა გასვლებში ასახულია სსიპ იუსტიციის სახლის და სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრსათვის არასაცხოვრებელი შენობის და მიწის გადაცემა.

დასკვნა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში, გაკეთდა ანალიზი თითოეული ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების სიზუსტეზე. ნაერთი ბუღალტრული ანგარიშგება შედგენილია თერჯოლის მუნიციპალიტეტისა და მის მიერ დაფუძნებული ზემოთ აღნიშნული ა(ა)იპ - ების კონსოლიდაციით.